ოქმი:**ო03. 3724031001**

თარიღი:**31/01/2024**

ოქმი № 2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2024 წელი 29 იანვარი
ქ.ოზურგეთი
13.00 -13.30 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ღაჟონია, ბ. თოიძე, მ. ვაშალომიძე, ს. ქარცივაძე, ქ. ხომერიკი, ტ. აროშიძე, ლ. ბიგვავა.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი (2025-2027 წლები) განვითარების დოკუმენტის შესახებ.
   მომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი
   თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე

2. მდგრადი განვითარების მიზნების ოზურგეთის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ
   მომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი
   თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების შედეგად განხორციელებული ცვლილებების ცნობად მიღების თაობაზე.
   მომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი
   თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ, გ. ჩავლეშვილმა, კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია დოკუმენტზე, აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი დოკუმენტია, განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან განვითარებაში რომელი დარგები უნდა იყოს პრიორიტეტული, გაკეთებულია ეკონომიკური განვითარების ანალიზი და გამოკვეთილია მიზნები. დოკუმენტი კომისიის წევრებს კონკრეტულად გააცნო თანამომხსენებელმა ხ. სურგულაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ ამ დოკუმენტზე მუშაობის ორიენტირი იყო შესაბამისი სამთავრობო დოკუმენტი, იგი შემუშავებული იქნა მერისა და საკრებულოს პასუხისმგებელი მუშაკებისა და ხელმძღვანელების ერთობლივი მუშაობით.

დოკუმენტს თან ახლავს სამოქმედო გეგმა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მისი განხორციელება.

კომისიის წევრმა ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ კარგი დოკუმენტია, მსგავსი დოკუმენტი მუნიციპალიტეტში ადრეც მიღებულა, მაგრამ ეს თვისობრივად განსხვავებული, ყოვლისმომცველი და გასაგებია. იგი უნდა განხორციელდეს. მოუწოდა კომისიის წევრებს მხარი დაუჭირონ დოკუმენტს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დოკუმენტის წარდგენას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, აღნიშნა, რომ დოკუმენტი მომზადებულია გაეროს შესაბამისი რეზოლუციის თანახმად, მუნიციპალიტეტისათვის შესასრულებლად განსაზღვრულია 11 მიზანი და 30 ამოცანა, მნიშვნელოვანი დოკუმენტია როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე მთლიანად ქვეყნის განვითარებისათვის. თანამომხსენებელმა ხ. სურგულაძემ განაცხადა, რომ ამ დოკუმენტის შემუშავებაშიც ერთობლივად მუშაობდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი პირები, განისაზღვრა 11 მიზანი და 30 ამოცანა, რომელი უნდა განხორციელდეს 2030 წლამდე. დოკუმენტის გაცნობის შემდეგ თანამომხსენებელმა უპასუხა დასმულ შეკითხვებს. კომისიის წევრი ნ. ღაჟონია დაინტერესდა შექმნილი იყო თუ არა ადრე ასეთი დოკუმენტი, უპასხეს, რომ პირველად შეიქმნა. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს საკითხის წარდგენას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მესამე საკითხი, აღნიშნა, რომ არსებული კანონმდებლობა მუნიციპალიტეტის მერს ანიჭებს უფლებამოსილებას წლის ბიუჯეტში გამოყოფილი ასიგნებები გადაანაწილოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა პროგრამულ კოდებს შორის, შემდეგ კონკრეტულად გააცნო გადანაწილების შედეგად განხორციელებული ცვლილებები. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება მისი ცნობად მიღების თაობაზე.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა დაკომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N 1, 2 საკითხი წარდგენოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.
2. N 3 საკითხი მიღებულ იქნას ცნობად.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი